# საქართველოს დამოუკიდებლობა

თებერვალი 1954 წ.
№ 8
წელიწადი მესამე

რედაქციის მისამართი:
133, rue de l'Abbé-Groult. Paris 15. R. Gabachvili

## L'INDÉPENDANCE GÉORGIENNE

ორგანო „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრისა უცხოეთში".


ეროვნული ბიბლიოთეკა

**პარიზი. თებერვალი. 1954 წ.**

ომის შემდეგ, „ომი არავის უნდა" და ამით აიხსნება, რომ ბერლინშიაც მეათასედ კითხულობენ მგლის თავზე სახარების სხვა და სხვა მცნებას. ის კი 35 წლის განმავლობაში, როგორც წინად 350-სა და მისნი მოგვარენი 3500-ს წინად, — უდანაშაულო ცხვრის ხორცით იკვებება.

მთელი მსოფლიოს თვალ-ყური, გულის ყური და ფანცქალი ბერლინის სცენისაკენაა მიქცეული: რას იტყვის მოლოტოვი, როგორ გაიღიმა მოლოტოვმა, როგორი ხიზილალა აჭამა სახარების მკითხველ „ბერმუდელებს"... მოლოტოვმა.

მაგრამ თავისუფლების მოყვარულ კაცმა, ერმა, ან სახელმწიფომ, ნუ თუ არ იცის, რომ სცენაზედ არ სწყდება ომისა და ზავის საკითხი? და იმ ჩრდილოვან მხარეებში, რომელთაც კულისები ჰქვია, სწორდება „ვაჭრობა კაპიტალებთან" ისეთი მშვიდობიანი, მშვენიერ-სახელოვანი საგნებით, რომელთაც „არა-სტრატეგიული მნიშვნელობა" აქვთ. თუმცა ყველამ ვიცით, — ტოტალიტარულ ომში, განცდილში თუ განსაცდელში, არა-სტრატეგიული ნივთიერება არ არსებობს.

დედა-მიწის ზურგი დიდია და მხოლოდ ერთ წერტილში იღვრება სისხლი — ინდოჩინეთში — ჩვენთვის ძვირფასი ფრანგებისა, მაგრამ სხვა ათას წერტილში ისეთი დაჭიმულობა, რომელზედაც ზედგამოჭრილია გამოთქმა: „თოფები თვითონ რდება"-ო.

და ასეთ ორჭოფულ ვულკანზედ მცხოვრებნი ვერ გამოუნახიათ ვერც სიტყვა და ვერც საქმე ქვეყნის სახსნელად ხანძარისაგან.

ჩვენ არ გვინდა კასსანდრას როლის თამაში, მაგრამ ვშიშობთ, რომ ქვეყნიერებაზე გამეფებული ორმაგობა, ხეირს არავის მოუტანს, სანამ არ გამოჩნდება კაცი, რომელიც მკაფიოდ იტყვის (და იზავს კიდეც): მგლების ბუნაგი უნდა ამოიგდოს! თორემ, არა მარტო ყველგან გამოავლიდებიან, საცა მათი ლეკვები კიდევ დააირებიან, არამედ იმ ინგლისშიაც, საცა მგლის ჩანასახიც გაუქმებულია დიდი ხნის კანონით.

„პალე როზ"-ში წელიწადის ლაპარაკობდნენ, პან-მინჯომში — სამს, ავსტრიის „სუპლეანები" — ხუთს და, აჰა, ნახავთ, თუ ბერლინიურისებური ოლიმპიადები ათამდის არ აიყვანონ... რომ ლორი მოაგუბინონ რუსებს და თავი გაათამაშებინონ თუ გაათამაშებინებინონ?

ჩვენ უკანასკნელის მოლოდინში ვსუნთქავთ იმედით, მაგრამ აგერ უკანასკნელ წუთების ამბებიც მოდის: „ბერლინის კონფერენცია თავდება"-ო...

რომ, ალბათ, იმავე უმნიშვნელო მნიშვნელობის კონფერენცია, ლუგანოს, ბერმუდის, ბერლინის შემდეგ, სადმე ახალ გეოგრაფიულ წერტილში გაიხსნას.

კრილოვი კი იმ რუსეთიდან იყო, რომელმაც იცოდა, რომ „ოთხის კონცერტი" — უკეთესი არ ხდება ადგილის გამოცვლით და ქართველებმაც ვისწავლეთ დათვის 117 წლის ტყვეობაში: — მასთან ლაპარაკი, — ვერაფერი იარაღია.

## ალექსანდრე ასათიანი

საქართველო უწინარეს ყოვლისა და კავკასია, აი ის, ერთქმნილი ორი იდეალი, რომელსაც მთელი სიცოცხლე შეალია ჩვენმა მეგობარმა **ალექსანდრე ასათიანმა**, დაბადებულმა ველური სილამაზის ლეჩ-



ხუმში 1889 წ. და გარდაცვლილმა ცივილიზაციის ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხე — ბავარიაში — 1953 წ.

მოსკოვსა და პეტერბურგს, სტუდენტის ახალგაზრდულ აღტყინებით შებრძოლა იგი რუსეთის იმპერიალიზმს, რომლის სუსხი ჯერ კიდევ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლასა და რეალურ სასწავლებელში იგემა ბავშვმა.

ცნობილ პროფ. პეტრაჟიცკის შემფასებლის განზრახვა: გაეგზავნა, — იურიდიულ დარგებში მეცადინე და მცოდნე ალექსანდრე გერმანიაში, — 1914 წლის ომმა ჩაშალა. სამაგიეროდ, „იურისტების კორპორაციაში" ყოფნა, „თავად-აზნაურობის კრებულში" მდივნობა, გაზ. „სამშობლო"-ში თანამშრომლობა, აი ის საზოგადოებრივ-ეროვნული აქტიური მოღვაწეობა, რომელმაც ბუნებრივად ჩააყენა იმ „ეროვნული მიმართულების" რიგებში, რომელიც თბილისსა და ქუთაისში ერთდროულად წარმოიშვა ცხრაასიან წლებში.

ილია ჭავჭავაძის თაობისაგან, 1905-ს თეორიულად დარაზმულ „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას", ქართლისა, კახეთისა თუ იმერეთში, — მომდევნო თაობამ, რეალური დასაყრდენი ჯგუფები გაუჩინა, შემდეგში, ოფიციალურად გამოცხადებული „გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად" (თბილისის „საქართველოს ეროვნული პარტია" და მისი ორგანო „კლდე" 1911-1914 წ. და „უპარტიოთა ჯგუფი"; ქუთაისის „ეროვნულ-დემ. პარტია" და მისი ორგანო „სამშობლო"; კახეთის „გლეხთა რადიკალური პარტ.-დემ. პარტიისა" იყო განსვენებული ალექსანდრე.

პარტია იყო მისი ოჯახი, ცოლი და შვილი, მისი ამხანაგი და მეგობარი. „სხვა ძე არა ესვა. მარტოდენ მარტო... პარტია".

პარტია იყო მისთვის ის იარაღი, რომლის საშუალებით მედგრად იბრძოდა დასახულ იდეალების მისაღწევად. როგორც ყველა ადამიანი, უნაკლო არ იყო საშუალებათა არჩევანში, მაგრამ იდეალ-მიზნების მისაღწევად მტკიცე ნაბიჯით სიარულის დროს, მოქნილობაც იცოდა და დროზე მოქნევაც. ხმალი იყო ეს, თუ ბასრი კალამი.

საქართველოს დამარცხების შემდეგ ის დარჩა ხალხთან და პარტიასთან ერთად სამშობლოში, იბრძოდა „ლეგალურ" და არა-ლეგალურ ფორმებში; ციხეშიაც კი, დაჭერილი ბოლშევიკებისაგან; ციხიდან გაქცეული, რამდენიმე თვეს კიდევ განაგრძობდა მუშაობას, აუტანელ პირობებში.

იძულებით ლტოლვილობაშიც არასდროს მოუსვენია და პირადი გაჭირვების დაუმჩნევლად, შეუდრეკელ მებრძოლად დარჩა. ალექსანდრეს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას პარტიული ამხანაგები ალბად უფრო ვრცლად დააფასებენ პარტიულ პრესაში და აქ კი არ შეგვიძლიან არ დაუმატოთ, რომ „ქართულ ეროვნულ ცენტრს", თავიდანვე მხარში ამოუდგა და მისი წარმომადგენლობაც ღირსეულად შეასრულა „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის" — პრეზიდიუმის წევრად.

უდროოდ დაეკარგეთ გაუტეხელი მებრძოლი, მაგრამ ის გულწრფელი გლოვა, რაც დავინახეთ, არა მარტო ქართველთაგან, არამედ კავკასიელ მეგობრებისა, უცხოელებისა და მოწინააღმდეგეებისაგანაც კი, — თავდები არის, რომ

„... ცუდად ხომ არ ჩაივლის, გზა ტევალი, შენგან თელილი"...

**ამხანაგი.**

---

ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში ქართველობამ ჯეროვანი პატივისცემით გადაიხადა ალექსანდრეს პანაშვიდები და მრავალი დეპეშით და წერილით მოგვისამძიმრა მისი დაკარგვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილი „აზერბაიჯანის ეროვნულ კომიტეტის" თავმჯდომარე ბ-ნ მ.-ე. რესულ-ზადესი, რომელმაც პირველმა მოგვწერა თავისი მწუხარება და შეფასებაც განსვენებულისა.

„ქ. ე. პ. ცენტრი" მადლობას უცხადებს ყველას, [illegible] ალ. ასათიანის გარდაცვალების გამო თანაგრძნობისათვის.

### ქართულ ემიგრაციის გამთლიანების საკითხი

ქართული ემიგრაციის პოლიტიკურად ორად გაყოფა, უდავოა, არ წარმოადგენს დიდებით მოვლენას. შექმნილ მდგომარეობას არ სჭირდება არც ფარისეველური ვაება, არც გესლით სავსე განაჩენები — მხოლოდ მშვიდი ანალიზი. ისტორიის დამწერის ჯერ ნაადრევი ლოდით ნუ დავიტვირთებით — და ვეცადოთ მხოლოდ პრაქტიკული მხარის შეფასებას და გამოსავალი გზების გამონახვას.

პოლიტიკური ემიგრაციის უსამართლო დამცირება იქნება, არსებული გაყოფა მივაკუთნოთ მხოლოდ პიროვნულ ამბიციებს (როგორც ეს ჰგონია ბ-ნ გ. წერეთელს). იგი გამომდინარეობს ზნეობრივ საზომთა და ავტორიტეტის გაუქმებიდან, რასაც მოჰყვა უპასუხისმგებლო „ელასტიური გადახრების" მთელი რიგი... ასე დაიბადა უნდობლობის ატმოსფერო... თავი წამოსწია, ანგარიშმა... გაიღვიძა ჯგუფური ჰეგემონიის სურვილმა... და საშუალება მიეცა ჩვენი ერის მტრებს, ჩვენ საქმეებში ჩარევისა!

უკანასკნელ ხანებში — პარისში და კერძო საუბრებშიც — ქართველებში გახშირდა ერთობის აღდგენაზე ლაპარაკი... ეს მეტად ძვირფასია და საჭირო საკითხს გადავავლოთ თვალი, რათა აღვწონოთ ამ სურვილის გულწრფელობის და განაღდების შესაძლებლობანი.

ჩვენ არ გვაინტერესებს იაფ-ფასიანი „არბიტრები", არც ის ხალხი, ვისაც გამთლიანება ესმის როგორც პიროვნებათა ერთად დასხდომა უფრო, ვიდრე მიმართულებათა ნაყოფიერი შეხამება.

ყურადღება მივაქციეთ დინჯ მომართვას — თუნდ ცოტა არ იყოს პედაგოგიური კილოთი — ქართულ-ამერიკულ ლიგისა, „ეროვნული ცენტრისა" და „საბჭოსადმი". „მებრძოლ საქართველოს" აჩქარებით დასტამბა იგი და ბ. გ. ურატაძის კომენტარიც დააყოლა. ჩვენის აზრით და-

სტამბვა იყო ნაადრევი და გაზმარტება: მაინც! ყველასთვის ნათელი გახდა, რომ გრძელდება საბჭოს ოპოზიციური მოქმედება: ერთმხრივ განცხადებები გაერთიანებაზე, მეორე მხრივ-კი წინასწარ როგორც მუდამ ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მომავალშიც შეუძლებელ ჰქმნის გაერთიანებას.

რა არის საჭირო ერთობის ჩამოსაგდებად პოლიტიკურად განშორებულ მიმართულებათა შორის? სამი პირობა:

— საერთო მიზნის ერთნაირად დასახვა
— მისი ერთნაირი მეთოდებით მსახურება
— აქედან გამომდინარე, ერთმანეთისადმი ლოიალობა-პატივისცემა და ნდობა.

პირველი მუხლი ყველა ქართველისათვის — ვგონებ — მსჯელობას არ მოითხოვს: საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა და ძმური კავშირი კავკასიელ ერთა შორის—ყველასთვის უდავო მიზანია.

მეთოდების განსხვავება არ უნდა წარმოადგენდეს გარდაუვალ სიძნელეს: კეთილშობილი პოლიტიკოსები მას მოქნილ კომპრომისით ამოწურავენ — თუ კი მეთოდები იდეოლოგიათა გულწრფელ სინამდვილეს წარმოადგენენ და არა პოლიტიკური ზნეობათა ძირითად სხვაობას. მთავარია ამ შემთხვევაში უანგარობა და გულწრფელობა, — რომელთა გარეშე **ნდობა** შეუძლებელია და ერთად-დგომა ფუჭი ფიქრია! **ნდობის** აუცილებელი ნიადაგია მაშ ადამიანთა და პოზიციათა სიმტკიცე და გარკვეულობა. **ნდობას** არღვევს უპასუხისმგებლობა, უხერხემლო „ელასტიობა“, და პრინციპებით ვაჭრობა! ყველა ეს მხოლოდ ცუდლუტობაში აგდებს ქებულ „რეალ-პოლიტიკას“...

გარკვეულობას და სიმყარეს კი ეწინააღმდეგება „ფიქცია“ — რომელიც სასარგებლოა (ისიც ქონებრივად) — მხოლოდ ცრუეულებისთვის; არა ერისთვის! არც იდეისთვის! სიმყარე სავალდებულოა ემიგრაციისთვის, ვინაიდან დიდი ძევს სახელმწიფოსა და ემიგრაციის პოლიტიკათა შორის:

დამოუკიდებელ ერის და სახელმწიფოს მმართველთა ავტორიტეტი ილებს შინაარსსა და გამართლებას ეროვნულ პარლამენტის სუვერენობის წიაღიდან. და ამ მმართველთ აქვთ უფლება ასეთ კონტროლის ფარგლებში, მოახდინონ საჭირო ხაზის ცვლილებები (საიდანაც — მაინც — კატეგორიულად გამორიცხულია ეროვნულ სუვერენობის დათმობა).

ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკურ ელემენტებს (ყოფილ მთავრობას, პარტიებს, თუ კერძო პიროვნებას) აღარა აქვს ზემოხსენებული ცხოველ - მყოფელი ეროვნული კონტროლი. თვით ჩვენი ერიც ხომ შებორკილია. ამით ისპობა უფლება ყოველგვარ „ელასტიური გადახრისა“ და სავალდებულო რჩება—**ყველასათვის**—ურყევი ეროვნული იმპერატივი! აი ამ სიმყარეზე და გარკვეულობაზე აგებო მთელი თავისი მოქმედება ეროვნულ - პოლიტიკურ ცენტრმა დღიდან თავისი დაარსებისა 19 ნოემბერს 1950 წ. საერთაშორისო ასპარეზზე თავისი მუშაობა მან დააყრდნო ცნობილ, და ნათელ, წინასწარ დეკლარაციაზე. „ცენტრმა“ გადასცა საჭირო მემორანდუმები მეგობარ სახელმწიფოთ და საერთაშორისო ორგანოებს. ცენტრმა გაუშუქა ქართულ ემიგრაციის „ვასხადენის“ მიმართულების საშიშროება და მიაწოდა ამის შესახებ თავისი შეხედულება სათანადო დაწესებულებებს. 1952 წლის დეკემბერში — თავისი პროგრამის პირველ საფეხურის თანახმად — ცენტრმა სერიოზულ კავკასიელ პარტნიორებთან ერთად: (აზერბაიჯანის ეროვნულ ცენტრთან და ჩრდილო კავკასიის ეროვნულ კომიტეტთან) დააარსა „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“, და ამ კომიტეტმა მიიღო ფუძედ თავის დეკლარაციისა ცენტრის მიერ წარდგენილი პროექტი. დღიდან თავისი დაარსებისა, „კავ. დამ. კომიტეტი“ — თავის პრესაში თუ მემორანდუმებში — მტკიცედ იცავს კავკასიის სახელმწიფოთა უპირობო უფლებებს.

ყველა ამიტომ ცენტრს უფლება აქვს გაიკვირვოს, რომ მოაპოვებოდეს კიდევ ხალხი, ვისაც გულწრფელად არ ესმის „თუ რა ჰყოფს ეროვნულ ცენტრს საბჭოსაგან“...

უნდა იცოდნენ კია, რომ იმ მომენტიდანვე როდესაც დაიბადა შესაძლებლობა ქართველების „კაცაბიდან“ დაძვრისა („პარიზის ბლოკის“ ჩამოყალიბება, რომელმაც ასეთი იმედები დაბადა). ცენტრი გულღიად შეხვდა ორი შეუამავლის (ბ.ბ. მ. ს. და ზ. ჩ.) ინიციატივას, და მისი წარმომადგენლები შეხვდნენ საბჭოს წარმომადგენლებს.

ცენტრის წერმომადგენლები თანახმა ვიყავით შეთანხმების ცდის გაფართოებაზე და დავსვით მხოლოდ ერთი წინასწარი, აუცილებელი, პირობა: მოვითხოვეთ, „საბჭოს“ გამოემჟღავნებინა, სათანადოდ მის მიერ შერჩეულ ფორმაში, ან წერილობით ან მოქმედებით, რომ ის ჰგმობდა „ვასხადენის“ ხაზს.

სამწუხაროდ ასეთი დაპირება ცენტრმა ვერ მიიღო ბ.ბ. აკ. ჩხენკელის, კ. გვარჯალაძის და გ. კერესელიძისგან („საბჭოს“ დელეგაცია).

მკითხველს გაუკვირდება. როგორ მოხდა, რომ „საბჭომ“ ვერ დაუთმო ასეთი პირობა თავის თანამემამულე ცენტრს და სულ მოკლე ხნის შემდეგ-კი ხელი მოაწერა პარიზის ბლოკის „მემორიალს“, რომელიც თითქოს შინაარსით სწორედ ასეთ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა...

სავალალოდ, მხოლოდ: „თითქოს“—და ისიც დროებითი კომპრომისის სახით:, ვინაიდან კიდევ მოკლე ხნისშემდეგ „საბჭომ“ მიიღო მონაწილეობა — ნიკოლაევსკისთან ერთად — „მაკც“-ის შექმნაში, და აწ უკვე ცნობილია, რომ „მაკც“-ის წესდება, ეროვნებათა საკითხში არაფრით არ განირჩევა „კაცაბის“ წესდებისაგან *).

„მემორიალის“ ზემო ხსენება გვავალებს აქვე ფრჩხილები გავხსნათ ერთ მოვლენაზე, რომელიც აშუქებს საბჭოს ზოგიერთ ელემენტების უცნაურ პოლიტიკურ ზნეობას... „კაცაბიდან“ საბჭოს გამოყვანის პროცესი ცოტა გრძელდებოდა (ყველას გაეგება თუ რატომ) და ამის მოსურნე სომხები და უკრაინელები ნერვიულობას იწყებდნენ, როდესაც „საბჭოს“ ბელადებმა მათ უკანასკნელი — სამაგიერო — დათმობა მოსთხოვეს! ვერ მიხვდებით თუ რა! გაწყვეტა ყოველგვარ კავშირისა ეროვნულ ცენტრთან! ყოველგვარი კომენტარიო, ვფიქრობ, ზედმეტია. ჩვენ ვესაუბრებოდნენ და „რადას“ და დაშნაკელებს—ჩვენ თავს ვევაჭრებოდნენ. უზნეოსად „ელასტიური“ პოლიტიკაა...

ეხლა შევეკითხოთ ჩვენს თავს, განა „ერთად დგომა“ — თავის თავად საბოლოო მიზანია (ბ. არსენიძეს აფორიზმით: „ერთი ცუდი გზა — ორ კარგს სჯობია“-ო!?) — თუ მხოლოდ საშუალებაა? მაგრამ საშუალებას ხომ ზნეობა და პრინციპი არ შეეწირება! ჩვენი პრინციპები კი უცვლელი და ურღვეველიც — რჩება:

1. — ქართველი ერი იბრძვის **პირველ თავად** ეროვნულ დამოუკიდებლობის აღსადგენად (რაც თავის - თავად სავსებით ჰგულისხმობს ანტიბოლშევიკურ ბრძოლასაც, ვინაიდან ბოლშევიზმი მოუტანა საქართველოს რ.ს.ფ.ს.რ.-ის ხიშტებმა!).

2. — ქართულ ემიგრაციის მოვალეობა: უცხოეთში ქართული პრესტიჟის და სუვერენიტეტის—დროშის დაუხრელი დაცვა ყოველგვარ შევიწროებისა და იერიშისაგან.

ყოველგვარ ქართველს ეკრძალება „მაკიაველურ“ მოსაზრებათა გულისათვის ქართული საკითხის სადავო ინტერპრეტაციებში გახვევა.

---

*) იხილეთ ამ საკითხის ანალიზი საერთაშორისო სამართლის პროფესორის მიხ. მუსხელიშვილის მიერ ჟურ. „ბედი ქართლისა“ (დეკემბ. 1953 წ.).

დამოუკიდებელ ერისათვის პლებისციტებზე და „ნეპრედრეშენსტვო“-ზე დაპირება — თავის უარყოფა.

3. — ქართული საკითხი [illegible] ელ და საერთაშორისო პლანისა და თვით შეერთებულ შტატების უმაღლესი ავტორიტეტები რომ გვევედრონ, ჩვენ მას ვერ გადავაქცევთ რუსეთის ან საბჭოთა შინაგან საკითხად.

4. — რომ ქართველ ერის პირველი და ნამდვილი მოკავშირეები არიან თვით კავკასიის ერები — შემდეგ კი ყველა რუსეთისაგან ჩაგრული ერები და მათი, და ჩვენი, თანამგრძნობი კაცობრიობა.

ჩვენ კიდევ იმედი გვქონდა. რომ თანდათანობით „საბჭო“ ამ სალ პრინციპებს მტკიცე დეკლარაციით სცნობდა... მაგრამ ირკვევა, რომ უკანასკნელ თვეებში სულ სხვა მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ჰქონდა მის **ბელადების** მუშაობას! „რუსსკაია მისლ“-ის იმპერიალისტი - რედაქტორი ვოდოვი 27 იანვრის მოწინავე წერილში გვაცნობებს თავის პატრიოტულ კმაყოფილებას: — Статья С. Шварца в 12-м номере «Соц. Вестника», а особенно меморандум Е. П. Гегечкори на имя Американскаго Комитета, составленный совсем в другом тоне нежели пресловутый «Парижский мемориал» дают основания думать, что не все еще потеряно и что на основе непредрешенства в национальном вопросе удастся в конце концов наладить совместную работу всех российских и национально подлинных организаций»...

მაშ იწყება კიდევ ახალი (მე-5-ე?) გადახრა? ამ ახალ მანიოვრის მსხვერპლი, კიდევ ერთხელ, არც ბოლშევიზმია, არც ჩვენს ზურგზე მჯდომი რუსეთი, არამედ ქართული ემიგრაციის პრესტიჟი და მთლიანობა.

მაშ ვისთან გაერთიანება?მონოპარტიული „საბჭო“ ხომ მხოლოდ ხელქვეითი და თვალთ - ამხვევი ორგანოა, რომელიც ასრულებს ს.-დ. ც. კ. დავალებებს. ეს არ არის ცარიელი სიტყვები: საზოგადოებამ ნათლად დაინახა როგორ გაუგებრობაში გარდებოდა საბჭო ყოველივე პასუხისმგებ მომენტში; როგორ უჭირდა მას განმარტება იმ მოქმედებათა, რომელთაც მას თავზე ახვევდნენ მისი „ბელადები“, ფაქტების წინაშე დაყენებით.

აშკარაა, ქართულ საკითხისთვის უცხოეთში დღეს ნაადრევია ოცნება ერთ ორგანოში ამ ორ მიმართულების მოთავსებაზე. სჯობია ჯერ ატმოსფეროს და პოლიტიკური მეთოდების გაჯანსაღება და მერე თანდათანობითი დაახლოვება სამოქმედო ხაზებისა. ლოიალურ კონტაქტში მუშაობა სჯობია, ვიდრე ერთად ცუდი გზით სვლა.

## ამერიკულ კომიტეტის საყურადღებოდ

ჩრდილო - ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი - ოფიციალური წრეები, ხანგრძლივი დაკვირვება - მესწავლის შემდეგ, სწორედ შეაფასეს საბჭოთა რუსეთის ბუნება და ის უდიდესი საფრთხე, რუსული იმპერიალიზმის ფართო კალაპოტში ჩაყენებული და რუსულ მესიანიზმად ქცეული — კომუნიზმი და სლავიანიზმი. ამგვარათ დააფასა კომუნისტური რუსეთის სახით მსოფლიოსადმი მოვლენილი საფრთხე, ჯერ კიდევ მსოფლიო ომამდე, ნიჭიერმა ფრანგმა ჟურნალისტმა ჰანრი დე-კერილისმა *). ამ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკის ოფიციალური წრეებიც, მას შემდეგ, რაც სამწუხაროთ მათი და იმათ მოკავშირეთა დახმარებით, ამ წითელმა ტალღებმა წალეკეს და დაჰფარეს აღმოსავლეთ-ევროპის თავისუფალი ქვეყნები, ევროპის შუაგულს მოაწვნენ და აზიის უძველესი და უდიდესი ქვეყანა — ჩინეთიც ყბად გაიხადეს.

ეს დაგვიანებული პოლიტიკური მიხვედრილობა, საგარეო საქმეთა მინისტრი — აჩენსონმა გარკვეული და მკაფიო ფორმულით ასახა: „რუსეთის ხუთასი წლის იმპერიალიზმმა“, მრავალი თავისუფალი ერი და ქვეყანა შთანთქა და მთელ დანარჩენ თავისუფალ ქვეყნებს ემუქრებაო. მან ბრძოლა გამოუცხადა ამ რუსულ იმპერიალიზმს. ასეთი პოლიტიკური ხაზი მიიღო და უფრო გარკვეული ხასიათი მისცა პრეზიდენტი აიზენჰაუერმაც, რომლის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი — ფოსტერ დალესმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს არ იცნობენ და არ დაადასტურებენ რუსეთის მიერ 15 თავისუფალი ერის დაპყრობას. აი აშკარად და მკაფიოდ გამოთქმული ამერიკულ ოფიციალური წრეების პოლიტიკური ხაზი საბჭოთა რუსეთის მიმართ.

ამერიკა — უდიდესი ერია, სულიერ-მორალური და ფიზიკურ - მატერიალური ძალთა სიმდიდრით, თავისუფლების რეჟიმზედ აწყობილი ძლიერი სახელმწიფო მმართველობის აპარატით. მან მოკავშირეებთან ერთად ორი მსოფლიო ომი მოიგო წინასწარ მოუმზადებლად, და ორი დიდი იმპერია — ევროპასა და აზიაში დაამარცხა და დაამხო. გასაგებია, რომ მისკენ არის მოქცეული იმედითა და ნდობით აღვსილი გული, თვალი და ყური არა მარტო საბჭოთა რუსეთის მიერ უკვე დაპყრობილი ერებისა, არამედ ჯერ კიდევ თავისუფლათ დარჩენილი, მაგრამ დაპყრობის შიშით მოცული დიდი და პატარა ერების. მისი ხელმძღვანელობით ირაზმებიან და თავდადებით ომისათვის ემზადებიან თავისუფალი ქვეყნები. ამერიკა გამოდის კეთილშობილი თავისუფლების იდეის—დამცველად და მებაირახტრედ. გასაგებია, რომ ჩვენი სიმპატიაც მისკენ არის, და მისსა და მის უახლოეს მოკავშირეთაგან მოველით ხსნასა და შველას.

***

— სამი წლის წინ შეიქმნა ამერიკის მოქალაქეთა მიერ დაწესებულება, რომელიც „ამერიკული“ კომიტეტის სახელწოდებით გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე, საბჭოთა რუსეთის ხალხების კომუნიზმისაგან განთავისუფლების მიზნით. ამერიკის ხალხოსნური და დემოკრატიული წყობა - მმართველობის ბუნებისა და ხასიათის მიხედვით, უფლება გვქონდა გვეფიქრა, ეს დაწესებულება გაიზიარებდა, გაჰყვებოდა ამერიკის მმართველ - ოფიციალურ წრეების მიერ მიღებულსა და დადასტურებულ პოლიტიკურ ხაზს. როგორც კერძო დაწესებულება, ინტერნაციონალურ - ხელშეკრულებათაგან თავისუფალი, და ნაკლებ პასუხისმგებელი, კიდევ უფრო გაამახვილებდა ამ პოლიტიკური ხაზის გამომსახველ ფორმულას, და პრაქტიკული პოლიტიკის საგნად გაიხდიდა. მოხდა არაბუნებრივი და მოულოდნელი: კომიტეტი რომელმაც თავის თავს „ამერიკული“ უწოდა, ვერ აიღო ამერიკის მაღალი პოლიტიკის დონემდე, პიროვნულ და ეროვნულ თავისუფლების დროშით ცნოფლიოს რომ ნუგეშად ევლინება და წინ უძღვის ამ კერძო ხასიათის კომიტეტმა მხოლოდ პიროვნების თავისუფლება დაისახა მიზნად და ამისდა შესაფერად ბრძოლა გამოუცხადა კომუნისტურსა და საბჭოთა რეჟიმს. პიროვნების თავისუფლება ჩამოსჭრა და დაცილა ეროვნებათა თავისუფლებას პიროვნებას თავისუფლებას დაჰპირდა, დაპყრობილი ერების თავისუფლების საკითხი კი რეჟიმგამოცვლილი რუსეთის ხალხის მიერ ხელახლად გადასაწყვეტ შინაურ საკითხად მიიჩნია. პატივცემულ ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელი დონ - ლევინის განცხადება: „ამერიკული კომიტეტი მოქმედების მიზნად ისახავს კომუნიზმისა და საბჭოთა რეჟიმის დამხობას და მისი მოქმედების პროგრამაში არ შედის ეროვნებათა თავისუფლება, რომლის საკითხის გადაჭრა ეკუთვნის კომუნისტური რეჟიმისაგან განთავისუფლებულ რუსის ხალხს“-ო, ვერ უდგება და ვერ სწვდება მინისტრ—აჩენსონისა და ფოსტერ დალესის სრულ თავისუფლების მაღალ ლოზუნგს.

ბ- დონ - ლევინის ასეთი გაურკვეველი და დაკომპლებული ლოზუნგი დასტურს აძლევდა რუსეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნების იდეას. ამ ლოზუნგის ირგვლივ ბუნებრივად შემოიკრიბეს რუსული ემიგრაციის ერთი ნაწილი, რომლის ლიბერალური იდეების ზედაპირის სარჩულს

---

*) ეხლა ამერიკელია.

## კ ა ვ კ ა ს ი ა

კავკასია არ არის მხოლოდ ისტორიული, უკუნითი უკუნისამდე მონათესავე ოტოხტონებით დასახლებული გეოგრაფიული ერთეული, არამედ ეკონომიურად თვითმყოფი, სტრატეგიულად ძლიერი და სულიერად შეზავებული ქვეყანა, რომლის სახელმწიფოებრივი არსებობა შეიძლება სახსრებით უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე სასტიკ პირობებშიაც.

მისი 12 - 15.000.000-იანი მოსახლეობა, უკეთეს პირობებში თავისუფლად გაზრდილი ოცსა და ოცდახუთამდე, სამშობლოს მოყვარული, ნიჭიერი და მშრომელი, თავისუფლებისათვის მუდამ მებრძოლი, საკმაოდ თავმდებია, მტრისა და მოყვრის თვალშიაც, — თუ ოდესმე სამართლიანობის პრინციპიც გაიმარჯვებს საერთაშორისო არეში, — ღირსეული ცხოველმყოფელობისა.

იდეა კავკასიის მთლიანობისა არ ახალია, ძველია. ლეგენდარული(?) ქართლოსის ამბავი, თავის შვილებით (ლეკოს, ოსის, ეგროსის და სხ.) რომ დაეუფლა ქვეყანას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, — ეხლა მეცნიერულ საფუძვლებსაც ეყრდნობა მტკიცედ *) და ქართველ მეფეთა 27 საუკუნის — ფარნაოზიან - ბაგრატიონთა დინასტიების ისტორიული არსებობა, ამავე მიზნებით ხასიათდება. ჩვენი უშუალო წინაპრებიც (ილია, ნიკო ნიკოლაძე და სხ.) ამასვე გრძნობდნენ და ქადაგებდნენ.

მართალია, თუ კავკასიის ტერიტორიებას მუდამ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა და „საბუთებიც“ მოჰყავდათ ერთობის შეუძლებლობისა, — ესენი იყვნენ მუდამ ჩვენი მტრების უამრავ ბანაკებიდან, როგორც ისტორიულად, ისევე ეხლაც: „სხვა და სხვა ენები, რასები, სარწმუნოებანი, განვითარების არა - საკმაო დონე, ქიშპობა და სხ.“, მაგრამ, ამ „საბუთების“ გაღრმავება და გამწვავება, — ხელსაყრელი მტრისათვის, ვერასოდეს სინამდვილეს წინადაც ვერ ჰფარავდა და ეხლა ხომ სრულიად უშინაარსოა.

ენებისა და რასის სხვა და სხვაობა, არ უშლის ბელგიას, შვეიცარიას და სხვათ,— ერთ სახელმწიფოსა და ერს წარმოადგენდნენ თანამედროვე პირობებში; სარწმუნოებამ, დიდი ხანია დაჰკარგა თავისი სიმწვავე ყველგან და საქართველო - კავკასიაში არასოდეს არც ყოფილა ომისა და ჯახის შინაგან ძალად. ქართველი მეფენი იყვნენ მუდამ ტოლერანტები; არც მწვალებლობას უჩენია როდესმე თავი და სომეხ - თათართა ჟლეტა — მუდამ რუსების პროვოკაციაზე იფურჩქნებოდა. არა-საკმაო ეკონომიური განვითარება, ისტორიულადაც ხელოვნურად და ძალით დაბრკოლებული გარეშე მტრისაგან *).

პირიქით, არასოდეს არ მოითხოვდა არაფერს, ისე როგორც ხელის - შეწყობის გარეშე. თუ სამეგრელოს მოჰყავდა იმდენი ბრინჯი, რომ საგარეო ვაჭრობის ვალიუტას შეადგენდა **); თუ ქართლის პური მთელ კავკასიას ჰკვებავდა ჯერ კიდევ ერეკლე მეორის დროს; თუ კახეთის აბრეშუმი ლიონის ქარხნებში მუშავდებოდა მე-16-17 საუკუნეებში ***); მარგანეცი და ნავთი დღესაც უშრეტი წყაროა სიმდიდრისა და „თეთრი ნახშირი“ უფასო და ფასდაუდებელი ძალა ელექტრონისა და სხ. და სხ.,—განა მართლაც მარტო მტრების არგუმენტი არ არის, კავკასიის არა-საკმაო ეკონომიური საფუძვლისა სახელმწიფო არსებობის საწინააღმდეგოდ?

და მთავარი საბუთი, — კავკასიელ ერთა ქიშპობა - მოურიგებლობა ერთმანეთთან, მუდამ ხელოვნურად გაღვივებული გარეშე მტერთაგან, ხომ სასაცილო „საბუთად“ თუ გამოდგება მათთვის, ვინც იცნობს, მაგალითად, შვეიცარიის ისტორიას; საცა ეროვნული, მთისა და ბარის, კანტონისა და კანტონის, სარწმუნოებრივი და ეკონომიური ომები და ბრძოლები ისეთი იყო, ათასი წლის მანძილზედ, ნიშანიც აღარ დარჩა ოტოხტონ ჰელვეტებისა. მაგრამ ფრანგები, გერმანელები, იტალიელები და... უდინები,—დღეს საუკეთესო დემოკრატიული წესწყობის ქვეყანასა და ერთობას წარმოადგენენ.

ამიტომ, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა, ღრმად უნდა იყოს კავკასიელთა ერთობის მომხრეც, ვინაიდან უკანასკნელმა, მეოცე საუკუნის გამოცდამაც დაგვანახვა, რომ ურთიერთოდ ყოველმხრივ სუსტი იქნება ჩვენი მდგომარეობა და დღევანდელ საერთაშორისო ალიაქოთში, „ლოკალურ გაერთიანებათა“,— მეტი წონა ექნება და სინამდვილეშიაც აქვს.

რ. გაბაშვილი.

*) იხ. ქალდუ - ეგერარტის თანამედროვე კვლევა - ძიებანი; ივ. ჯავახიშვილის შრომები და სხ.

*) გავიხსენოთ დაუსრულებელი ომები, ნგრევა და ცარცვა საუკუნოების გასწვრივ. მარტო მონღოლების 7 შემოსევა რად ღირს; შაჰაბაზისგან კახეთში ვენახისა და თუთის ხის ამოკვეთა და ხალხის გადასახლება; რუსებისაგან უყურადღებობით გაჩერება და უდანაშაულოდ ქვეყნის აღორძინების (ჯერ კიდევ ორასი წლის წინად) გამწვავებულ ბალანსობისა, სარწყავ არხების მოსპობით; გავიხსენოთ რუსეთის 117 წლის ბარბაროსული, — და არა ევროპიელთა განათლებული — კოლონიალიზმი ჩვენში და სხ. და სხ.

**) იხ. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, ტ. II.

***) იხ. ზ. ავალიშვილის „თეიმურაზ I-ლი“.

ამიტომაც ნურავინ ნუ მოელის, რომ ჩვენ რამე „მოსაზრებებს“ ვუმსხვერპლებთ ეროვნულ პრიმატებს.

ლ. ზურაბიშვილი.

## პ რ ი ნ კ ი პ ო დ ა ნ ბ ე რ მ უ დ ა მ დ ე

„ეხლა, — 20 ნოემბერს 1919 წ.,—სწორედ სრული გამარჯვებული მსვლელობა ბოლშევიკებისა მოხალისეთა ლაშქარზედ. მათი გამარჯვება სწყვეტს დიდი ხნით სამოქალაქო ომს არა მარტო რუსეთში, არამედ უეჭველად ცეცხლითა და მახვილით განაგრძობენ „სოვეტების“ შექმნას მთელ მსოფლიოში, და უწინარეს ყოვლისა შემოიჭრებიან ჩვენში.. და თუ ბედმა გაუღიმა გენერალ დენიკინს და დაამარცხა კომუნისტები, ასევე აუცილებლად ჩვენსკენ იბრუნებს ხმალს და ძალით დაგვიპყრობს..“ *) ასე სწერდა გონიერი მეთვალყურე და წინასწარმეტყველი კოტე აბხაზი (შემდეგში დახვრეტილი ბოლშევიკებისაგან 1923 წ.) — ზურაბ ავალიშვილს, თბილისიდან პარიზში.

ეს იყო 1919 წ.; მაგრამ ეს ორივე დამოკლეს ლახვარი ეხლაც ემუქრება მსოფლიოს: მაშინ თუ უშუალოდ საშიშროება იყო მარტო საქართველოსათვის და დასავლეთის სახელმწიფონი კი იწვევდნენ „კონფერენციას პრინკიპოზე“ (რუსებთან მოსარიგებლად), — საშიშროება გავრცელდა ისევე შორს, როგორც ბერმუდის კუნძულებია, პრინკიპოს კუნძულიდან **).

პრინკიპოსა და ბერმუდს შორის მოხდა მთელი რიგი ისეთივე „კონფერენციებისა“..: გენუა, მონტრე, სან - რემო, ლოზანა, ჟენევა ერთი ლიგით, ყველას ვერც ჩამოთვლით, მაგრამ წესრიგის აღდგენა რუსეთში და ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა რუსეთში ვერ მოხერხდა, რაკი ყველა ჯურისა და ფერის რუსების წინააღმდეგობას ეხეჩება.

ამ რიგად, კონფერენციიდან კონფერენციამდე, აგერ უკვე 35 წლის განმავლობაში თავისუფალი მსოფლიო თანდათან რუსიფიკაციას განიცდის, რადგან „წითელნი“ თუ „თეთრნი“ ერთად ანგარიშს უწევენ ამ „დიდი მასის ერთი რუსეთის ხალხისა“: კულტურულ და პოლიტიკურ დაპყრობას ქვეყნისას, თან ამზადებენ სამხედრო და ეკონომიურს, და, დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობათ ვერ გამოურკვევიათ, როგორ მოექცნენ რუსეთს და რუსებს.

ბერმუდის კუნძულზედ ყველა თავისას გაიძახოდა:

— ბიდო: რუსებს უნდათ ჩვენთან დაახლოვება.

— ჩერჩილი: რუსები უნდა უზრუნველვჰყოთ.

და მხოლოდ აიზენჰაუერმა: „მათი მიზანი ხომ მსოფლიოზე გაბატონება არის“-ო.

**
*

1917 წ. რუსეთის იმპერია დაინგრა. სამეფო რეჟიმი ისე გაქრა, დამცველიც არ აღმოაჩნდა. რუსებისა და არა-რუსების საერთო თაობის უანგარო მებრძოლთა ოცნება, — რომელნიც მსხვერპლად ეწირებოდნენ ციმბირს, სახრჩობელას თუ სხვა ძალადობას, — თითქო განხორციელდა. დაცემულ იმპერიის მთელ სივრცეზედ, ერთდროულად, თავისთავად და ბუნებრივად წარმოიშვნენ „ეროვნული კომიტეტები“, ცხოველმყოფელი და არახელოვნური საბუთი ეროვნულ მოძრაობათა, რასაც არასოდეს არც წინად შეწყვეტილა. გამქრალ საიმპერიო ძალა-უფლების მაგიერ, გაჩნდა დროებითი მთავრობა, რომელიც ისევე განქარდა და საშინელ 25 ოქტომბრის დღეს, ზამთრის სასახლეში მომწყვდეულ მთავრობას, „დემოკრატიის ღირსებასა და ქვეყნის ბედისა“ — იცავდა 2-3 ასეული იუნკრებისა, 40 ხეიბარი, და რამდენიმე დამკვრელი ქალთა ბათალიონებიდან...*) და რუსის ნაპოლეონი, კერენსკი, იელტოდა ქალის ტანისამოსით გადაცმული.

**
*

დასავლეთში, მიუხედავად რუსეთის გამოსვლისა რიგებიდან, ომი გრძელდება დემოკრატიული პრინციპების და დაპყრობილ ერთა თავისუფლების გასამარჯვებლად. გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, ოსმალების იმპერიები დაინგრა; მათგან დაპყრობილი ერნი დამოუკიდებ. სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ გუშინდელი მოკავშირენი ვერ მიხვდნენ, რომ მათი კავშირი რუსეთის იმპერიასთან, — არა-ბუნებრივი იყო, ამიტომაც დაინგრა იგი, შე-

*) ზ. ავალიშვილი: „საქართველოს დამოუკიდებლობა“. პარიზი 1924 წ. გვ. 238.

**) ამ წერილის ძირითადი აზრი არ იცვლება იმით, რომ ბერმუდის კონფერენციის დროს, მოემატა დრო „ბერლინის კონფერენციამდე“. (რედ.).

*) ე. იურევსკი: „სოციალისტ. ვესტნიკ“ № 10 - 11, გვ. 197

---

რუსეთის იმპერიის განუყოფლობის იდეა წარმოადგენს. ეროვნულ ემიგრაციებიდან ამ საქმეს დაუკავშირეს მათთან იდეურად მონათესავე წრეები, „კომპრომისულ და მოქნილი“ პოლიტიკის მიმდევარნი. ამ ლოზუნგის ირგვლივ შექმნა ისეთივე გაურკვეველი და დაკოჭლებული ორგანიზაცია, რომელმაც სამარცხვინოდ დაამთავრა „ერთობის“ დღეები. მოხდა ის, რაც უნდა — მომხდარიყო.

ეს არ მოხდებოდა, პატივცემულ ამერიკულ კომიტეტს რომ სამოქმედო ასპარეზზედ გამოსვლამდე საფუძვლიანათ და სერიოზულათ შეესწავლა საბჭოთა რუსეთში მომწყვდეული ერების სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა, მათი მისწრაფებანი, რომ გაეცნობოდა ამ 35 წლის მანძილზედ ადგილობრივ წარმოებულ ბრძოლებს, რევოლიუციებსა და აჯანყებებს; შეესწავლათ ცოცხალი მებრძოლი პოლიტიკური და სამხედრო ძალები; რომ აგრეთვე დაკვირვებით შეესწავლათ ამ ბრძოლათა და აჯანყებათაგან საზღვარ - გარედ გამოხიზნული ემიგრანტული იდეური, ცოცხალი მებრძოლი ძალები. მათი ასეთი ღრმა შესწავლა და დაფასება გაუადვილებდა საბჭოთა რუსეთის მიმართ სწორ და მთლიანი პოლიტიკური ხაზის გამომუშავებას და ამ გიგანტური ბრძოლისათვის საიმედო, საღი და ცოცხალი პოლიტიკური ძალების გამოძებნას. ასე რომ მოქცეულიყო, მის წევრებს საკმაო წარმოდგენა რომ ჰქონოდათ საზღვარ-გარედ არსებულ ემიგრანტულ ძალებზედ, იმ ნაწილობრივი მიზნისათვისაც კი, რომელიც რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრება, მოსძებნიდნენ კომუნისტური რეჟიმისადმი იდეურად უფრო გარკვეულად მოწინააღმდეგე პოლიტიკურ წრეებს, როგორც რუსულს, ისევე ეროვნებათა ემიგრანტებში, მათ გაიხდიდნენ ამ ბრძოლებში მთავარ დასაყრდენ ძალად და არა იმ მიმართულებათა წრეებს, რომელნიც კომუნისტებთან ერთად, ერთსა და იმავე იდეური თესლისა და ძირებზედ აღზრდილან, ერთად მოქმედება-ბრძოლაში მომწიფებულან, რუსეთში ჩასახულ კომუნიზმისათვის რბილი აკვანი მოუმზადებიათ და მისდამი ძველ - ნათესაური გრძნობა ნაწილობრივ დღემდე შერჩენიათ.

თვით „ამერიკული კომიტეტი“, დაარსებიდან დღემდე, განიცდის, მის მიერ დასახული მიზნის ირგვლივ, აზრთა სხვადასხვაობას, ევოლიუციას, ამერიკული თუ დაინტერესებულ ემიგრანტულ პოლიტიკურ წრეების ზეგავლენით. ამით აიხსნება მის შიგნით წარმოებული დუღილი, შემადგენლობისა და განსაკუთრებით მისი პატივცემულ თავმჯდომარეთა პერმანენტული შეცვლანი. ბუნებრივია, რომ მის მიერ შექმნილი ქვეორგანო „საკოორდინაციო ცენტრი“, აზრთა და ენათა აღრევის, ჩვენი დროის „ბაბილონის გოდოლიც“ ვერ აღმოჩნდა ჯანსაღი და ცოცხალი პოლიტიკური ორგანიზაცია და დაბადებიდანვე ორივე ფეხზედ დაკოჭლებულმა, ორად გაყოფით დაასრულა უნაყოფო არსებობის დღეები. დასრულდა პატივცემული ამერიკული კომიტეტის მიერ ემიგრანტული პოლიტიკური წრეების ცოცხალ ორგანიზმზედ წარმოებული სახიფათო ექსპერიმენტების პირველი ეტაპი. შეუძლებელი შექმნა მგლისა და ცხვრის ფარისა—„კცაბის“ საძოვარ მინდორზედ თანაარსებობა. საქმეს ვერ უშველა იქ მონაწილე „ნაციონალთა“ პოლიტიკური წრეების კომპრომისობისა და მოქნილობის დიდმა უნარმა. ერთის ნაცვლად ორი „კცაბი“ მოგვევლინა მელგუნოვ - კერენსკისა და მეორე — ნიკოლაევსკისა, დაახლოვებით იმავე შემადგენლობის, იმავე ბუნების, იმავე მიმართულების. მათ საფუძვლად დადებულ ორთავე სტატუტის ის მთავარი მუხლი, რომელიც ეროვნებათა დამოუკიდებლობას და სუვერენობას შეეხება, დაახლოვებით ერთი და იგივეა, სხვა და სხვა ლიტერატურული და არა საჭირო იურიდიული ტერმინებითაა გამოთქმული. ორთავენი, ჯერ-ხნობით ამერიკული კომიტეტისაგან დათხოვნილნი, ისევ მისკენ თვალთმიპყრობილნი და მისგან დახმარების მოლოდინში არიან, თანაც ერთი-მეორესთან ხელახლად დაახლოვებისა და შეკავშირებისათვის მუშაობას აწარმოებენ.

ემიგრანტული პოლიტიკური ფართო წრეების დიდი უმრავლესობა, პიროვნებისა და ეროვნებათა თავისუფლებისათვის უკომპრომისოდ მებრძოლნი, ამერიკისა და თვით „ამერიკული კომიტეტისადმი“ კეთილად განწყობილნი ელოდებიან იმ დროს, როცა ეს დუღილი დამთავრდება, ამერიკული კომიტეტი მის საკუთარ ხაზად გაიხდის ამერიკული ოფიციალური წრეების პოლიტიკურ ხაზს, კერძო კომიტეტიდან ოფიციოზურ კომიტეტად იქცევა; როცა მის ბრძოლის დროშას დააწერს, პიროვნებისა და ერთა თავისუფლების ლოზუნგს. მხოლოთ ამ დროშით შეიძლება ბრძოლა და დამარცხება კომუნისტური საბჭოთა რუსეთისა. ამ დროშით იბრძოლებენ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები და მათგან გამოსული ემიგრაციის წრეები.

ამ დროშასვე გაჰყვებიან თვით **რუსის ერის ის შეგნებული წრეები, რომელნიც თავიანთი ერის განთავისუფლებისათვის იბრძვიან** და არა მათი მპყრობელის მიერ, მათი სახელით დაპყრობილი ერების მონობაში შენარჩუნებისათვის.

დარწმუნებულნი ვართ, „ამერიკული კომიტეტი“ ასეთ საბოლოო დასკვნამდე მივა და ასეთ საიმედო ძალებს დაეყრდნობა და არა რუსული ემიგრაციის იმ წრეებს, რომელთაც კომუნისტური საბჭოთა რუსეთის მიღწევანი საგარეო პოლიტიკაში პეტრე - დიდის ცნობილ „ანდერძის“ განხორციელებად მიაჩნიათ.

ელ. პატარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოკლე აზრები გრძელ - ვადიან ამბებზე

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცის დასაწყისში კიდევ, სიტყვას, ნათქვამს სახელმწიფო მოღვაწეთაგან, — მეფე იყო იგი, პრეზიდენტი, თუ მხოლოდ პასუხისმგებელი მინისტრი, — წონა და რეალური მნიშვნელობა ჰქონდა; მაგრამ ორმა მსოფლიო ომმა, სხვა განუზომელ ცვლილებათა შორის, სიტყვასაც წონა და წონასწორობა დაუკარგა. სახელმწიფო მოღვაწენი ეხლა ისე ბევრს ლაპარაკობენ სხვა და სხვა მიზნით, სხვა და სხვა საგანზედ, რომ ჭეშმარიტების მიგნება შეუძლებელი ხდება და ადრე თუ გვიან მიმყოლი ამბები და მოვლენანი სრულებით არ ეთანხმება ნათქვამს. წავიდა ის დრო, როცა „მეფის სიტყვა არ გატყდებოდა“; როცა პრეზიდენტის ნათქვამზედ მთელი მისი ქვეყანა პასუხს აგებდა; მინისტრის მუქარაზედ, — მეზობელ ქვეყნის მოსახლეობას სამართლიანად ძარღვები ეჭიმებოდა, გული უთრთოდა და გონება ეზნეოდა;, ან პირიქით, სიმტკიცეში გაკაჟდებოდა.

დღევანდელ სიტყვიერ კორიანტელში, არა მარტო შორეული ან მახლობელი მეზობელი, თვით საკუთარი მოქალაქენიც ველარ ერკვევიან, თუ რა ხდება სინამდვილეში, ე. ი. კულისებში· დემოკრატია, ფართო ინფორმაცია, რადიო, პრესსა და სხვა, თითქო უაღრესი იარაღებია ხალხის გათვითცნობიერებისათვის, სინამდვილეში კი სწორედ ხალხის გასაშტერებლადაა აწყობილი და თუ ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ვეუბნებოდით ბ-ნ ნ. ჟორდანიას, რომ „გაზეთებს დურაქებისათვის სწერენო“, დღეს შეგვიძლიან დავუმატოთ, მისსავით „გულუბრყვილოთათვის“, რომ „რადიოში — იდიოტებისათვის ლაპარაკობენ“.

მაშ რითი უნდა ხელმძღვანელობდეს ქართველი ადამიანი, — ქვეყნის ტრიალში გაერკვეს და თვისი ქვეყნის ინტერესი ყველგან, ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში სწორედ გაიგოს და დაიცვას? ამისათვის საჭიროა ღრმად ცოდნა - შეგნება საკუთარი ერისა და მსოფლიო ისტორიისა; ცოდნა რეალური პოლიტიკის ძირითადი კანონებისა და არა ბროშურებსა და გაზეთებში ამოკითხულ თეორიებსა და იდეოლოგიებში ეძებოს ხსნა თავის ქვეყნისა.

* * *

ზემოაღნიშნულ ამბების საილუსტრაციოდ ათასი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ დღეს მარტო ერთის მოყვანაც საკმარისად მიგვაჩნია·

1914 წ., ომის დროს, ჟენევაში შემდგარ საერთაშორისო ყრილობაზე, პატივცემულმა მ. წერეთელმა ალღო აუღო არა მარტო ფსიქოლოგიურ განწყობილებას „პატარა ერებისას“, არამედ მაშინდელ დიდ სახელმწიფოთა „მიზნებსაც“ და წინუსწრო კეთილშობილ ვილსონის „ამერიკულ პოლიტიკას“, გამოხატულს ცნობილ „14 მუხლად“· ამ ხაზით დაიცვა საქართველოს დამოუკიდებლობაც. ისტორიამ, რეალურმა პოლიტიკამ, ცხოვრებამ **გაამართლა** მისი „ოცნება“ და 1918 წ., საგარეო და შინაგანი ძალების წნეხით, ვაიძულეთ ჟორ-მუნიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზედ მოწინააღმდეგე „ანტანტამაც“ - კი სცნო დე - ფაქტო და დე - იურე ეს მოვლენა.

მაგრამ იმავე საერთაშორისო ყრილობაზედ გამოვიდა „ვინცხა“ ბ. თევზაია და „რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის“ სახელით განაცხადა ის უმსგავსობა, რასაც **დღესაც** იცავს „ჩვენი (?) დროშა“ (№ 15), ბ-ნ გრ. ურატაძეს პირით და ხელით. ბ-მა წერეთელმა ღირსეული პასუხი გასცა („ბედი ქართლისა“ № 16) ბ-ნ ურატაძეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა, რომ ისტორიამ, რეალურმა პოლიტიკამ, ცხოვრებამ **არ გაამართლა,** — სახით, გულით და გონებით მახინჯ თევზაიების „პროგნოზი“ და რუსეთის „დემოკრატიის“ ერთმა ფრთამ (მენშევიკურ - კერენსკისებურმა) დააპროკლია და დაასუსტა საქართველოს დამოუკიდებლობა და მეორე ფრთამ (ბოლშევიკურმა, რომელთანაც გადავიდა სწორედ იგივე ბ. თევზაია) — სრულიად მოსპო.

ბ. თევზაიამ, როგორც შეეფერებოდა ყოველ იუდას თავის ქვეყნისას, — თავი დაიხრჩო და მოიპოვებიან თურმე კიდევ ურატაძეები, რომელნიც არა მარტო ამართლებენ 37 წლის წინად მომხდარ ღალატს, არამედ სხვებსაც იქითკენ მოუწოდებენ: მ. წერეთელს „უპასუხისმგებლოდ“ აცხადებენ და ვისი და რისი „პასუხისმგებელი“ ბრძანდებოდა **მაშინდელი** ბ. თევზაია, ალბად **დღევანდელ** „საბჭოს პასუხისმგებელთა“ იურიდიულ საიდუმლოებას შეადგენს „შეუნდევ, უფალო, რამეთუ არ უწყიან, რასა იქმონენ!“.

ეს ის გრ. ურატაძე ბრძანდება, რომელმაც 1920 წ. საინგილო გადასცა ბოლშევიკებს; „საიდუმლო მუხლების“ ძალით მოუმზადა ნიადაგი საქართველოში შემოსასვლელად 1921 წ.; იგივეა, სამი წლის წინად რომ სწერდა რუსულ „სოციალისტურ ვესტნიკ“-ში: „საქართველოს არასოდეს დამოუკიდებლობა არ უძებნია“-ო და 27 იანვარს 1952 წ. კიდევ განაცხადა საჯაროდ: „ამ გზაზედ მარტო ვიყავი ჯერაც, მერე ჯგუფი მომემხრო და, მადლობა ღმერთს, ეხლა მთელი საბჭო მომდევსო“. ეს ის გრ. ურატაძეა, რომელიც დღესაც ერთ - ერთი ხელმძღვანელია „ქ. ე. საბჭოსი“ და სულის ჩამდგმელი „ჩვენი დროშისა“..· იმდენად გამოუყენელი, რომ „საბჭოს“ გოგიებს — ყველაფერი ზემოაღნიშნული, „მოხუცებულთა კინკლაობად მიაჩნიათ, — პირველობისათვის“. აქეთი „პირველობა“ თქვენთვის დაგვითმია.

* * *

1912 - 1914 წელში, ქართულ რეალურ ვითარებაში რამდენიმე სამკვდრო - სასიცოცხლო ეროვნულ - ტერიტორიალური საკითხი იყო წამოჭრილი. რა საკითხები იყო და როგორ უდგებოდნენ მას სოციალისტური და ეროვნული დაჯგუფებანი?

ტერიტორიის საკითხი; ხიზანთა საკითხი; კახეთის რკინის გზის საკითხი და სხ·

როგორც „ჟენევის კონფერენციაზე“ 1914 წ. ბ-ნი თევზაია, ისე „კიევის კონფერენციაზედ“ 1912 წ., — ყველა მისი ქართველი ამხანაგი „**რუსეთის** სოც.-დემ. მუშათა პარტიისა“ — იცავდნენ **მთლიან რუსეთის** ინტერესებს და გაუბოძეს: საინგილო — აზერბეიჯანს, ახალციხე - ახალქალაქი და ბორჩალოს მაზრა — სომხებს „რეალური მოსახლეობის პრინციპების“ მიხედვით. ჩვენ ვიცავდით მომავალ საქართველოს სახელმწიფო **ტერიტორიას** და განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრას, რომლის მიწა რამოდენიმე **ქართველის** კერძო საკუთრებას შეადგენდა (ორბელიანების, ბარათაშვილების, მელიქიშვილების და სხვათა. იყო ეკლესიაც ქართველი: დიდი თონეთი, პატარა და სხ·).

როცა საქართველო განთავისუფლდა, **იგივე** მენშევიკები ერეკებოდნენ სომხებს არა მარტო ახალციხე - ახალქალაქიდან, არამედ ბორჩალო - თბილისიდანაც, რაც 5 წლის წინად **მორალურად** (კიევში შეთანხმებით) დათმობილი ჰქონდათ. აქედან წარმოიშვა სომეხ - ქართველთა ომიც (არ გაგონილი ათასწლობით) *), ვინაიდან არ ესმოდათ არც განსხვავება მიწისა და სახელმწიფოებრივ ტერიტორიის შორის და არც რუსეთის პოლიტიკური მზაკვრობა, სწორედ საქართველოს, როგორც ისტორიულ უფლებათა მქონეს, დასასუსტებლად მოგონილი „რეალური მოსახლეობის პრინციპი“· რუსის მთავრობა და „რუსეთის სოც.-დემ. პარტიის“ შეხმატკბილება ამაშიაც გამოიხატა, როგორც ბევრ სხვა რამეში·

მეორე ილუსტრაცია იყო „ხიზანთა საკითხი“. ბ-ნი ვორონცოვი, მეფის მოადგილე, რომელიც კვეხულობდა „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში“ — „250 რუსული მოსახლეობის პუნქტი (სოფელი, დაბა და სოფლუკანა) შევქმენი კავკასიაში“-ო, ყოველი კანონის, სამართლიანის და პრინციპის წინააღმდეგ, აპირებდა სხვანაირადაც დასუსტება სწორედ საქართველოსი (გარდა სომხების თავზე ხელის წასმისა და რუსულ „პუნქტებისა“) — ოსებისათვის ტერიტორიის შექმნით საქართველოს ხარჯზედ, — შეიმუშავა პროექტი, რომლითაც **ოსების ხიზნებს** უნდა მისცემოდა, ათიდან - აქვსამდე „დესიატინა“ (ორი დღიური ან სამი ქცევა) მიწა, უფასოდ ჩამოთმეული **ქართველ** თავად - აზნაურებისაგან; მაშინ **როდესაც ქართველ** გლეხებს (ბატონობის გადავარდნის შემდეგ) მისცეს საცოდავი ჩამონაჭრები და ისიც — გამოსყიდვით.

ეს „„პროექტი“ **ტერიტორიალურად** სჭრიდა მთელ ქართლს ორ ნაწილად, კავკასიონის მთებიდან, მტკვრის მარჯვენა კი არა, მარჯვენა ნაპირების [illegible] (საჯავახო, სათარხნო, [illegible] და სხ·) და [illegible] ჩვენ ვიცავდით საქართველოს ტერიტორიას პოლიტიკურად, მთელი „სოც.-დემ. პარტიის“ **მეთაურობამ,** — მხარი დაუჭირა კრებებით, პრესით თუ თათბირებით, — ამ რუსულ, პოლიტიკურად ვერაგულ „პროექტს“... იმავე „რეალური მოსახლეობის პრინციპის“ მიხედვით. ამითაც იყო გამოწვეული შემდეგ, დამოუკიდებლობის დროს ომი ოსებთან. (გაგრძელება იქნება)

რედ.

*) და ცნობილია, რომ **რუსები** ეხმარებოდნენ სომხებს ჩვენთან ომში მეფის ოფიცრების სახით.

## ცნობის ფურცელი

14 იანვარს 1954 წ. „პ. წმ. ნინოს ეკლესიის სასარგებლოდ, ბატონმა ალ. მანველიშვილმა წაიკითხა შინაარსიანი მოხსენება: „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“. დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა და ეკლესიის სასარგებლოდაც წვლილი გაიღო.

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა კერენსკის „კავკასიის“ საიდუმლო (პოლიშინელის) სხდომის „ოქმი“, მრავალმხრივ დამახასიათებელი რუსული სულისკვეთებისა. შემდეგში იქნებ დაუბრუნდეთ მის გარჩევას უფრო ვრცლად, მაგრამ დღეს მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ერთ ამბავს.

თუ ერთ - ერთ საკამათო სხდომაზედ, ბ-ნი კერენსკი დაემუქრა უკმაყოფილო „ნაციონალებს“: „ნუ დაგავიწყდებათ, ბოლოსდაბოლოს, რომ ჩვენ (რუსებს) მილიონიანი ჯარი გვყავს“-ო (რასაკვირველია წითელი, რადგან თეთრი და პირისფერი მის „იუბკასთან“ ერთად გაჰქრა), — აღნიშნულ „ოქმში“ ა. კერენსკი ომს უცხადებს ამერიკასა, ინგლისს, საფრანგეთსა და ოსმალეთსა, რომელთაც თურმე სურთ „**კავკასია ჩამოაცალონ რუსეთს და გადააქციონ ბუფერულ სახელმწიფოდ**“. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე ეს არსად სჩანს, საინტერესოა „ხელობით ჯაშუშს“ კერენსკის (თუ დაეჯერებათ ჟან ბარდანის წიგნს) — საიდანა აქვს ეს საიდუმლო ცნობა, რომ ასეთ ორმაგ სითამამეს იჩენს?: აცხადებს გამოუცხადებელს და, ამის გამო, მოუწოდებს ბოლშევიკ და რუს ემიგრაციასაც — არ დაუშვან ასეთი „საშინელება“. ზოგიერთებს კი ჰგონიათ, რომ კავშირი კერენსკისთან, გინდ მარტო „ამერიკულ კომიტეტის“ დოლარებით, — საქართველოს სასარგებლო საქმეა.

*) მეხსიმოდრეკით მეც გვეჩვენები უფალო, შეუნდო ამათაც, რამეთუ არ უწყიან რასა იქმნენ. ასოთ-ამწყობი.

ვნითაც უნდა გაემარჯვა დემოკრატიულ პრინციპებს, რომელთათვისაც სწარმოებდა პირველი მსოფლიო ომი. მაგრამ 18 იანვარს 1919 წელს, რომ გაიხსნა პარიზის საზავო კონფერენცია, ტყუილად სცდილობდნენ, მიუხედავად ათასი თავსამტვრევი საკითხისა, მოკავშირენი განსაკუთრებული ყურადღებით, რუსეთის საკითხისაც გადაწყვეტას იმავე დემოკრატიული და ერების განთავისუფლების პრინციპების მიხედვით; რადგან განუწყვეტლად ეხეთქებოდნენ რუსების სხვა და სხვა „მთავრობათა“ წინააღმდეგობას·

ისტორიამ მომაგონდა ბერმუდის დროს ყველა ზემოაღნიშნული, რომ 1919 წლიდან 1953 წლამდე, არც „წითელი“ და არც „თეთრი“ რუსების განწყობილება დემოკრატიული და ეროვნული საკითხებისადმი არ შეცვლილა *). და არ შეცვლილა იმიტომ, რომ „ნაციონალიზმის ზრდა ეტო-ქება რუსეთის იმპერიალიზმს“, როგორც ამას ქადაგებდა ყველა რუსის შოვინისტი; რადგან იმპერიალიზმი საერთოდ და საბჭოების ექსპანსივიზმი კერძოდ — არ ეგუება დემოკრატიულ პრინციპებს.

ჩვენი თანამემამულე ეგ. გეგეჭკორი, ნ. ცინცაძე და სხვანი ვერ მიხვდნენ ამას და ვერ აუხსნეს ამერიკელ მეგობრებს, ამიტომ დარჩნენ „გატეხილ გობთან“.

ერთად - ერთი საშუალება მსოფლიოს ხსნისა რუსიფიკაციისაგან, არის, — ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტა ყოველგვარ რუსებთან, ს.ს.ს.რ-ია, თუ ემიგრაცია და მოეთხოვოს რუსეთს ცხოვრებაში გატარება საბჭოთა კონსტიტუციისა და საქმის დაჭერა ამიერიდან თექვსმეტ რესპუბლიკასთან **ცალ-ცალკე**. მათ შორის რ.ს.ფ.რ-თანაც, და არა მარტო მალენკოვ-მოლოტოვთან. ასევე ემიგრაციაში, — არა-რუსების დემოკრატიულ და ეროვნულ ელემენტებთან ცალკე, ვინც იბრძვის დამოუკიდებლობისათვის და იმ რუსებთან ცალკე, ვინც რუსის ერის თვითგამორკვევისათვის იბრძვის.

ვახტანგ ციციშვილი

*) და ვერც 1954-ს შეიცვლება „ბერლინის კონფერენციაზე“, რომელსაც რუსები ალბად გააჭიანურებენ წლობით, კიდევ დროის მოსაგებად· (რედ.).

## ჟურნალ - გაზეთებიდან

გულდასმით წავიკითხეთ საუცხოვო ამონაწერი. —„ბედი ქართლისა“-ში № 16-დან, პატივცემულ, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორ მ. მუსხელიშვილის **მომავალი** წიგნიდან; ამონაწერი, რომელიც ბევრ ობიექტურ სინამდვილესა და დამარწმუნებელ სიმართლეს შეიცავს, ცოტაოდენ სადაო და უსაბუთო რწმუნებასთან. სამწუხაროდ, გაზეთის ფართობი არ გვაძლევს საშუალებას მთლიანი დაფასებისა და ანალიზისათვის, მაგრამ არ შეგვიძლიან მკითხველის (და ავტორის?) ყურადღება არ შევაჩეროთ ერთ **იურიდიულ ლაპსუსზედ,** რომელიც შეიცავს არა ნაკლებ საგულისხმო წერილი - ინტერვიუ იმავე პროფ. მუსხელიშვილთან, ბ. კ. სალიასი.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ ბ-ნ კ. სალიას „დაბრუნება“ იმ პოზიციებზედ, რომელსაც თურმე „პრესაში თუ საჯაროდ იცავდა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში“,... მრავალ აბრუნდის შემდეგ რუსებისადმი, „ეროვნულ საბჭოსთან“ ერთად, და ეხლა ისე მჭერმეტყველურად რომ იცავს. პროფესორ მუსხელიშვილთან ერთად.

ჩვენი, „საზღვარგარედ — ეროვნულ პოლიტიკური ცენტრის“ დაარსება და სამი წლის ლაღადისა მხოლოდ ამ **იურიდიულ უფლების** გარშემო ტრიალებდა მის დამრღვევთა წინააღმდეგ, მაგრამ არასოდეს არ გვითქვამს და ვერც ერთი კომპეტენტური იურისტი ვერ იტყვის, რომ: **„ამ სტატუტზე ხელის მოწერა** (ე. ი. „საკოორდინაციო ცენტრის“; „კავკასია“ თუ „მაკც“-ისა) **ქართველების მიერ, ნიშნავს მიტოვებას სუვერენულ სახელმწიფოს სტატუტისა, რომელიც საქართველომ მოიპოვა 1918 - 21 წ.წ. საერთაშორისო კრებულში.. მაშასადამე. ახლა საკითხი ამ უფლების აღდგენას კი არ ეხება, არამედ მის ხელ - ახლად მოპოვებას**“-ო *) და სხ.

ერთმა ყალბმა კი არა, ოცდაათმა ნამდვილმა პროფესორმა, ათმა ყალბმა „საბჭომ“ და „მთავრობამაც“ რომ მოაწეროს ხელი ზემოაღნიშნულ უცხოვნ სტატუტებს, ამით **იურიდიული ძალა** 1918 წლის 26 მაისის აქტისა, — **ვერ გაბათილდება,** გინდაც მთელი ემიგრაცია მიუდგეს მათ. ეგეთს ხელის მოწერათ და მათს დაცვას მხოლოდ ფსიქოლოგიური წარყვნის შეტანა შეუძლიან ემიგრაციაში და ბრძოლის უნარის შესუსტება უფლების დაცვაში, რაც არ ესმით „ქ. ე. საბჭოელების“ „ობივატელებს“, და, იმედი გვაქვს, როგორც თავის მომავალ წიგნში, ისე შემდეგ ნომერში ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ში, ეს იურიდიული ლაპსუსი — გამოსწორებული იქნება, როგორც კომპეტენტური იურისტისა, ისე არა-კომპეტენტური რედაქტორის მიერ; ვინაიდგან, ვისაც მეტი კომპეტენცია აქვს, მეტი სიფრთხილეც მოეთხოვება იურიდიულ გამოთქმებში.

*) ხაზგასმა კ. ს-სია.

Directeur responsable: **R. Gabachvili.**
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.